საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/164 „21" ივლისი 2009 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 29 აგვისტოს №1/158-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 29 აგვისტოს №1/158-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. III ნაწილის („რაიონული (საქალაქო) სასამართლოების აპარატების სტრუქტურა და საშტატო ნუსხა") მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა

აპარატის მოხელეთა და დამხმარე მოსამსახურეთა საშტატო ერთეულის (თანამდებობის) დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
1. აპარატის უფროსი	1
2. მოსამართლის თანაშემწე	12
3. კანცელარიის გამგე (მთავარი სპეციალისტი)	1
4. წამყვანი სპეციალისტი	2
5. სპეციალისტი	5
6. სხდომის მდივანი	12
7. მანდატურის სამსახურის უფროსი	1
8. მანდატური	11
9. კურიერი	4
10. თარჯიმანი	1

11. ქსელის ადმინისტრატორი	1
12. დამხმარე მოსამსახურე (დამლაგებელი)	5
13. დამხმარე მოსამსახურე (სამეურნეო საკითხებში)	1
14. დამხმარე მოსამსახურე (მძღოლი)	1

სულ 58.“.

2. სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების საშტატო ნუსხა განისაზღვროს 1644 საშტატო ერთეულით.“.

მუხლი 2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2009 წლის 1 აგვისტოდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი